ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ოთარ გრიგოლიას

2018 წლის ნოემბრიდან 2019 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით

გაწეული საქმიანობის შესახებ

ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის თანახმად, წარმოგიდგენთ ანგარიშს ჩემს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

2017 წლის ნოემბრიდან ვარ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს VI მოწვევის წევრი, ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარე (2019 წლის აგვისტო), ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დღემდე, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი, ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი, გლდანის რაიონის მაჟორიტარი (კენტი მიკრორაიონები).

ინფორმაცია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში და კომისიების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ.

2018 წლის ნოემბრიდან დღემდე მონაწილეობა მივიღე ქ.თბილისის საკრებულოს 13 სხდომაში, რომლის დროსაც მიღებული იქნა 98 დადგენილება და 434 განკარგულება, საკრებულოს 13 ბიუროს სხდომაში. აღნიშნულ სხდომებზე განხილული და მიღებული გადაწყვეტილებები მოიცავდა ისეთ საკითხებს, რომლებიც განხილული და შემუშავებული იქნა ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის სხდომებისას, რომლის თავმჯდომარეც ვიყავი. აგრეთვე, მოიცავდა იმ საკითხებსაც, რომელთა განხილვაში და შესწავლაში, როგორც ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრს მაქვს მიღებული მონაწილეობა (7 სხდომა, 9 საკითხი), როგორც, ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წევრმა მონაწილეობა მივიღე ფრაქციიც 9 სხდომაში, რომელზეც განხილული იქნა დღის წესრიგით ფათვალისწინებული 9 საკითხი.

2018 წლის 1 ნოემბრიდან 2019 წლის 30 ოქტომბრამდე ჩატარდა ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთ ობების კომისიის 13 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა კომისიის კომპეტენციაში შემავალი სხვადასხვა საკითხ ები: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურიდან მოწოდებული პროექტები, “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირს შორის „საგრანტო ხელშეკრულება ევროკავშირის გარე მოქმედებები“ გაფორმებულ გრანტის ხელშეკრულებაში ცვლილებები, ქალაქ თბილისის მუნ იციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებებში ცვლილების შეტანის შესახებ.

ამასთან, აღსანიშნავია კომისიის მიერ განხილული და საკრებულოს სხდომებზე წარდგენილი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურთან ერთად შემუშავებული და ინიცი რებული ის პროექტები და ღონისძიებები, ასევე ამ პროექტების განხორციელებით უკვე მიღწეული თუ მოსალოდ ნელი შედეგები, როგორიცაა: ვაჭრობა, მრეწველობა, ტრანსპორტი და ლოჯისტიკა, მშენებლობა, ჯანდაცვა, განათ ლება, საფინანსო სექტორი, სასტუმროები და რესტორნები.

2018 წლის განმავლობაში მონაწილეობა მივიღე სხვადასხვა ფორუმებსა და ღონისძიებებში. მათ შორის:

- ქ.თბილისის საკრებულოში უკრაინის დედაქალაქ კიევის საქალაქო საბჭოს დელეგაციასთან შეხვედრა გაიმართა. თ ბილისის საკრებულოს წევრებმა უკრაინელ სტუმრებს თბილისის საკრებულოს ფუნქციები და მუშაობის სპეციფი კა გააცნეს კიევის საქალაქო სათათბიროს წარმომადგენლები დაინტერესდნენ, როგორ მუშაობს თბილისის მუნიც

იპალიტეტი, როგორ არის გადანაწილებული ფუნქციები სხვადასხვა სამსახურებს შორის, რა მდგომარეობაა ტრა ნსპორტის, მშენებლობების და მუნიციპალური მომსახურების სფეროებში. თბილისის საკრებულოს წევრებმა უკ რაინელ სტუმრებს თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს. ყურადღ ება გამახვილდა თბილისის სატრანსპორტო პოლიტიკაზე, საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებაზე, პარკ ინგის სისტემაზე. დეპუტატებმა აღნიშნეს, რომ თბილისში უახლოეს მომავალში რამდენიმე ახალი, მიწისზედა მ ეტროსადგური აშენდება, რაც აეროპორტს ქალაქის ცენტრთან დააკავშირებს. მათივე განცხადებით, თბილისის რ ოგორც ტურისტული ქალაქის პოტენციალის გაზრდისთვის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება ძა ლიან მნიშვნელოვანია. უკრაინის დელეგაციის წევრებმა ქართველ კოლეგებს ამ მხრივ, კიევში არსებული მდგომა რეობა და კანონმდებლობა გააცნეს.

დეპუტატების საპასუხო ვიზიტის ფარგლებში შედგა შეხვედრები კიევის რადას წარმომადგენლებთან და გაფორმდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და ქალაქ კიევის რადას (საბჭოს) ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის მომზადებია და გაფორმების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩაბმული სამდივნოს თანამშრომლები.

- მივლინებით

ვიმყოფებოდი ქ.მადრიდში, ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის (UNWTO) გენერალური მდივნის, ზურაბ პოლო ლიკაშვილის მოწვევით. შეხვედრა შედგა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან. განხილულ იქნა თბილისის ტურიზმის პოტენციალი და ის მიმართულებები,რომელშიც ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციას შეუძლია გარკვეული დახმარება გაუწიოს ქალაქს და ხელი შეუწყოს გონივრული, სიცოცხლისუნარიანი და მდგრადი ტურიზმის განვითარებას. შეთანხმებიდან გამომდინარე, ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია (UNWTO) მხარს დაუჭერს თბილისის ტურიზმ ის განვითარებას შემდეგ საკითხებში:

- ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია ხელს შეუწყობს თბილისის ტურიზმის ეფექტურ განვითარებას. მხარს უჭერს ქ. თბილისის ინიციატივას შექმნას Destination Management Organization (DMO) და მოახდინოს მისი იმპლიმენტაცია ქალაქის ტურისტული პოტენციალის სტრატეგიის შემუშავებისას.

- ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია მხარს უჭერს თბილისის ინიციატივას, შედგეს როგორც ახალი ტურისტული გა სტრონომიის ცენტრი. ქალაქის ტურიზმის განვითარების გეგმის სწორად შემუშავებისთვის ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია მზად არის საჭიროების შემთხვევაში ორგანიზება გაუწიოს პროფესიულ ტრენინგებს.

- ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან და ქ.თბილისის მთავ რობასთან ერთად კოორდინაციას გაუწევს ივნისში დაგეგმილ ღონისძიებას, თბილისის ტურისტული გასტრონომ იის განვითარების შესახებ. მხარეები ასევე შეთანხმდნენ სამომავლოდ მეტად გააღრმავონ თანამშრომლობა. თბილ ისი გამოთქვამს სურვილს, 2021 წელს, ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციასთან ერთად ჩაატაროს კონფერენცია უ რბანულ ტურიზმზე.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, კომისიამ იმუშავა შემომყვანი ტურიზმის თემებზე სხვადასხვა ქვეყნების მაგალითების და წარმატებების გათვალისწინებით.

ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურთან ერთად ჩატარდა სამუშაოები ბიზნეს-აქსელერატორის საგრანტო პროგრამაზე, ბიზნეს-გეგმების ხელშეწყობაზე, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ამ მიმართულებით თანამშრომლობაზე. ბიზნეს-აქსელერატორის პროგრამა ორიენტირებულია ორ სამიზნე ჯგუფზე: „სტარტაპებზე“ - ახალი ინოვაციური იდეებით და უკვე რეგისტრირებულ მცირე და საშუალო საწარმოებზე, რომლებსაც სამომავლო განვითარების პერსპექტივა გააჩნიათ. სამიზნე ჯგუფებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ კონსულტაციები მათი საქმიანობის სფეროში ცოდნის გასაუმჯობესებლად, დახმარება ბიზნეს გეგმის შემუშავებაში, ერთობლივი სამუშაო სივრცით სარგებლობაში. შექმნილია ინტერნეტ საიტი **(http://spark.gov.ge),** სადაც სამიზნე ჯგუფებს შეუძლიათ დარეგისტრირება და ყველანაირი ინფორმაციის მიღება; კონსულტაციები მოიცავს იურიდიული, ბუღალტრული აღრიცხვის, მარკეტინგისა და ადამიანური რესუ რსების ექსპერტების მიერ შესაბამის სფეროში გაწეულ მომსახურებას. კომისია აქტიურად არის ჩართული პროექტის განხორციელების საკითხებში,

- მუხიანის ტერიტორიაზე, ყოფილი რადიოქარხნის ტერიტორიის განვითარებისათვის დამუშავდა რადიოქალაქის პროექტი. შექმნილია ჩასატარებელი კვლევის სატენდერო დოკუმენტაცია, კვლევის საგანი და პროცედურები გავლილია პოტენციურ შემსრულებლებთან. უახლოეს პერიოდში გამოცხადდება ტენდერი.

- მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული ტურისტული ღირსშესანიშნაობების აღწერასა და ბაზის შექ მნის
  მიმართულებით, განხორციელდა ტურისტული ობიექტების შესახებ ინფორმაციის თავმოყრა და მათი ვიზუალი ზაცია. გარდა ამისა, ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურმა მონაწილეობა მიიღო: ბლოგერებისა და ინფლუენსერების "FAM ტურის" ორგანიზებაში; ტურიზმის ს ექტორის წარმომადგენლებისათვის სამუშაო შეხვედრის ორგანიზებაში; ტურიზმის სექტორის წარმომადგენლები სათვის ტრენინგების ორგანიზებაში. თბილისის ტურისტული შესაძლებლობების პოპულარიზაციის მიზნით დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის და გერმანიის საერთშორისო ცნობადობის მქონე ბლოგერების მიერ ინტერნეტ სივრცეში განთავსდა ბლოგები და სტატიები;

2019 წლის აგვისტოდან, როგორც ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ მონაწილეობა მივიღე 5 სხდომაში, რომელზეც განხილული იქნა 63 საკითხი.მ.შ

- მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი 4 წერილი -
  „ქალაქ თბილისის მინიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ასიგნებების კვარტალური ცვლილებების შესახებ“.

- ალაქ თბილისში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით სარგებლობის უფლებით, იჯარით გადაცემის საკითხები.

- ქალაქ თბილისში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხები -

  დაახლოებით 100-მდე ოჯახს, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობდნენ და სარგებლობდნენ უძრავი ქონებით, სიმბოლურ ფასად 1 ლარად გადაეცათ შესაბამისი ქონება (საცხოვრებელი ფართი).

  ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა, რაც კომისიის მიერ იქნა შესწავლილი არის შემდეგი: „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს ეთხოვა, უზრუნველყოს კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან_დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

  21951 კვ.მ მიწის ნაკვეთი გადაეცა 125 ოჯახს, მათი მხრიდან სახელმწიფო საშინაო ვალზე უარის თქმის სანაცვლოდ.

ინფორმაცია გლდანის რაიონის კენტ მიკრორაიონებში განხორციელებული პროექტების შესახებ.

ჩემი, როგორც გლდანის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის სამაჟორიტარო ოლქი მოიცავს კენტ მიკრორაინოებ ს, ბერთუბანს, ივერთუბანს, გიორგიწმინდას და თეთრი ტბის მინდებარე დასახლებას, ამომრჩეველთა რაოდენობა შეადგენს 41000 ადამიანს. მინდა ავღნიშნო, რომ სამაჟორიტარო ოლქში გვაქვს შემოერთებული ტერიტორიები: ბე რთუბანი, ივერთუბანი და გიორგიწმინდა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გლდანის რაიონის მაჟო

რიტარი წევრის ოფისში მოქალაქეთა მიღება მიმდინარეობს ყოველდღიურად 09:00-18:00 საათამდე შაბათ-კვირის გარდა, თუმცა არსებობს სიტუაციები როდესაც უქმე დღეებშიც გვიწევს აქტიურად მუშაობა.

მიმდინარე წლის თებერვლიდან - ივლისამდე, მაჟორიტარის ბიუროს მიერ მიღებულ იქნა 1000-მდე მოქალაქე, ხოლო სატელეფონო კონსულტაცია გაეწია 300- მდე ადამიანს, მაჟორიტარის მიერ შუამდგომლობა გაეწია 851 მოქალაქეს. რაიონში მიმდინარე პროექტების განხორციელების მონიტორინგის პერიოდში ბიურო მაჟორიტართან ერთად სამუშაოების განხორციელების ადგილზე შეხვდა 460-მდე პირს. შუამდგომლობები განხორციელდა შემდეგ მიმართელებებზე:

- ერთჯერადი მატერიალური დახმარება
- მედიკამენტოზური მკურნალობა
- ინფრასტრუქტურა+ბმა
- ჯანმრთელობის გამოკვლევა
- უფასო სასადილო
- სამედიცინო ოპერაცია
- ბინით დაკმაყოფილება(ფართების დაკანონება)

მინდა ავღნიშნო, რომ მე, როგორც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გლდანის რაიონის მაჟორიტარი წევრი, აქტიურად ვთანამშრომლობ რაიონულ გამგეობასთან. პირადად ვხვდები მოქალაქეებს ოფისს გარეთაც. ჩემს სამაჟორიტარო წარმომადგენლებთან ერთად ვისმენთ მათ პრობლემებს, ვეცნობით მათ მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციას, განვიხილავთ და გადავცემთ შესამამის სტრუქტურულ ორგანოებს რეაგირებისათვის.

რაც შეეხება განხორციელებულ პროექტებს: უნდა აღინიშნოს, რომ გლდანის რაიონის 2019 წლის ბიუჯეტი 2018 წელთან შედარებით გაიზარდა და შეადგენს 26 მლნ ლარს. მნიშვნელოვანია ისეთი მასშტაბურ პროექტები, როგორიცაა ინფრასტრუქტურა, სასმელი წყლით მომარაგება, სკვერების მოწყობა. ერთერთი პროექტია ვეკუა - ხიზანიშვილის ქუჩების რეაბილიტაცია, რომელიც თავისი მასშტაბით რიგით მესამე დიდი პროექტია კახეთის გზატკეცილისა და ჭავაჭავაძის გამზირის რეაბილიტაციის პროექტების შემდეგ. სამუშაოების დაწყებამდე იყო პრობლემები GVP-სთან დაკავშირებით, რაც უკვე აღმოფხვრილია. მიმდინარეობს 24 საათიანი მუშაობა და რებალიტაციის პირველი ეტაპი დასრულდება წლის ბოლოსათვის. მეორე ეტაპი, რაც მოიცავს ქუჩების კეთილმოწყობას დასრულდება მომდევნო წლის მარტის ბოლოს და და რაიონს ექნება მოწესრიგებული, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ქუჩა. შესრულდა შიდაკვარტალური გზების მოხრეშვის და ორმოულ შეკეთების სამუშოები, რაზედაც რაიონის ბიუჯეტიდან კენტ მიკრორაიონებში დაიხარჯა 300 000 ლარამდე.მოიხრეშა ქუჩები შემდეგ მისამართებზე: გიორგიწმინდა, დავით აღმაშენებელის ქუჩიდან სასაფლაომდე მისასვლელი;ლ.კერესელიძის ქუჩის მონაკვთი (ყოფილ პედაგოგიურ კოლეჯთან);ელეონორა ტერ-ფარსაგოვა-მახვილაძის ქუჩა;ფარსმან II ქველის ქუჩა(დრანდისა და ხევისპირის დამაკავშირებელ გზამდე); დრანდის ქუჩა; ფარსმან II ქველის ქუჩა(ჯაბიძის ქუჩიდან წყაროთუბნის ქუჩამდე); ჯაბიძის ქუჩის მონაკვეთი, რადიოქარხნიდან ფარსმან II ქველის ქუჩამდე). ორმოული შეკეთებები ჩატარდა მისამართებზე: გლდანის 1 მ/რ კორპ N 20 (II); გლდანი 1მ/რ, სუპერმარკეტი „ვაუ"-ს მიმდებარედ; გლდანის 1 მ/რ კორპ N 20; კორპ N17; კორპ N15; გლდანის 3 მ/რ კორპ N5; N10 მიმდებარედ.

მსხვილი პროექტებიდან ასევე მნიშვმელოვანია გლდანის, მე-5 მ/რ-ში კორპ.№17-24 მიმდებარედ, სკვერის მოწყობა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ადგილი აბსოლუტურად მოუწესრიგებელი იყო. იყო ანტისანიტარია და შეიძლება ითქვას, რომ დღეს ერთერთი საუკეთესო ადგილია ქალაქში. სკვერის მოწყობაზე ბიუჯეტიდან დაიხარჯა 494 000 ლარი.გარდა ამისა მცირე სკვერები მოეწყო შემდეგ მისამართებზე: გლდანი 3 მ/რ კორპ N

82 -ის მიმდებარედ; გლდანი 3 მ/რ კორპ N 86 -ის მიმდებარედ; გლდანის 1 მ/რ კორპ N 2-9; გლდანი, მე -7 მ/რ კორპ N 17ვ; გლდანი 3ა მ/რ კორპ N 21-22 შორის.

ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობა მნიშვნელოვანია. ერთერთი პრიორიტეტი, ახალგაზრდებისათვის ცხოვრების ჯანსაღი წესის შენარჩუნებაა. ამ მხრივ ქალაქის მერის და ფეხბურთის ფედერაციის დახმარებით დაგეგმილია სტადიონის მოწყობა მე-7 მ/რ-ნის მიმდებარედ, ე.წ. ძველი რადიოქარხნის ტერიტორიაზე. ჩემი შუამდგომლობით განხორციელდა სპორტული მოედნების მოწყობა სხვადასხვა მისამართებზე,მ.შ გლდანი, 1 მ/რ კორპ #3- 3ა;გლდანი 3 მრ N 79; გლდანი მე 7 მ/რ კორპ N 5; გლდანის მე-5 მ/რ კორპ N 10 (შეკეთება); გლდანის მე-5 მ/რ კორპ N 17 (შეკეთება) რისთვისაც რაიონის ბიუჯეტიდან დაიხარჯა 88 000 ლარი.

ერთრთი მნიშვნელოვანი პროექტი, რაც გაკეთდა არის ბერთუბნის დასახლებაში კანალიზაციის გარე ქსელის მოწყობა წყაროთუბანში და ხევისპირის ქუჩაზე გრუნტის დამჭერი კედლის მოწყობის სამუშაოები. ამ სამუშაოებზე ბიუჯეტიდან დაიხარჯა 602 877 ლარი.

გარდა ამისა აქტიურად ვიღებ მონაწილეობას თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის წარმომად გენლებთან ერთად სხვადასხვა ღონისძიებებში.